

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 2

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

15 თებერვალი 2019 წელი
14: 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ვარლამ გიორგაძე, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია, ოლეგი მიქელთაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები: მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ნარგიზი ალფაიძე**.
ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე**.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს: ნარგიზი ალფაიძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხს: ზვიად კაპანაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში დამისამართებულ N15 ქუჩას და ამავე ქუჩის შესახვევსა და ჩიხებს (ერთი შესახვევი და ორი ჩიხი) 2008 წლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ქარელის რაიონის სოფელ ავნევეში გმირულად დაღუპული შალვა ტრაპაიძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე.

მომხს: გელა ჩიკვაიძე

4. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“-ში (ს/კ 429651717) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს: ნარგიზი ალფაიძე

5. „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ში (ს/კ 229660168) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: ნარგიზი ალფაიძე

6. საკრებულოს იურდიულ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2019 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა.

მომხს: გელა ჩიკვაიძე

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის სამტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაციიდან მოვიდა შენიშვნა, რომელიც ითვალისწინებს დადგენილების სათაურში არ უნდა იყოს მითითებული ფრაზა „2018“ წელი. ჩვენს მიერ წარმოდგენილი შენიშვნა გათვალისწინებულია და ამოღებული იქნა დადგენილების სათაურიდან ფრაზა „2018“ წელი. კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი პირველი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

დამტკიცდეს და ცვლილება იქნეს შეტანილი ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 2/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენი სამსახური საკრებულოს თანხმობით ყოველწლიურად ვამტკიცებთ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენას.

ბატონმა გიორგი ივანიაძემ აღნიშნა, რომ მე ვნახე სხვა მუნიციპალიტეტის არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენა, სადაც ქალაქის ტერიტორიები არის დაყოფილი ზონებად რაც მიზანშეწონილად მიმაჩნია, კარგი იქნება ჩვენც თუ გავითვალისწინებთ სამომავლოდ ასეთ ვარიანტს.

კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით წარმოდგენის მეორე საკითხს. კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი პირველი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 3/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში დამისამართებულ N15 ქუჩას და ამავე ქუჩის შესახვევსა და ჩიხებს (ერთი შესახვევი და ორი ჩიხი) 2008 წლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ქარელის რაიონის სოფელ ავნევეში გმირულად დაღუპული შალვა ტრაპაიძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მომზადებულია ყველა საჭირო დოკუმენტაცია და მზადაა გადაეგზავნოს შესაბამის სამთავრობო კომისია.

კომისიის წევრებმა მისცეს თანხმობა წარმოდგენილ მესამე საკითხს.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში დამისამართებულ N15 ქუჩას და ამავე ქუჩის შესახვევსა და ჩიხებს (ერთი შესახვევი და ორი ჩიხი) 2008 წლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ქარელის რაიონის სოფელ ავნევეში გმირულად დაღუპული შალვა ტრაპაიძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 4/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ კომისიის წევრებს გააცნო „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“-ში (ს/კ 429651717) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საფეხბურთო სკოლა, სასპორტო დაწესებულებების გაერთიანებიდან გადადის საფეხბურთო კლუბ სულორი-ვანი-ში, რის გამოც ცხადდება რეორგანიზაცია.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხს.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი მეოთხე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა განკარგულების პროექტს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“-ში (ს/კ 429651717) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 5/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ კომისიის წევრებს გააცნო „...ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ში (ს/კ 229660168) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აქაც საფეხბურთო კლუბ სულორი ვანი -ს შეუერთდა საფეხბურთო სკოლა რის გამოც გამოცხადდა რეორგანიზაცია.

კომისიის წევრების მხრიდან მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი მეხუთე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა „...ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ში (ს/კ 229660168) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 6/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს იურდიულ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2019 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა.

იანვარ-მარტში მოსამზადებელი დადგენილებების პროექტები:

1. საკრებულოს ნორმატიული აქტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.
2. შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენის შესახებ.
4. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროგრამების შესახებ.
5. 2019 წლის სოციალური პროგრამების განხილვა.
6. ვანის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა.
7. ა(ა) იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“ დირექტორის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მოსასმენი და განსახილველი ანგარიშები:

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ანგარიში 2018 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიში 2018 წელში სარეზერვო ფონდით გაწეული ხარჯების შესახებ.
3. ვანის მუნიციპალიტეტის ა (ა) იპ-ების 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
4. ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.
5. ა(ა) იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის.

კომისიის წევრებმა მოიწონეს და მახრი დაუჭირეს დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხს.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის ბიუროს სხდომაზე გადატანად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს საკრებულოს იურიდიულ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2019 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა.

/დანართი N 7/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაიძე

**საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის სხდომის თავმჯდომარე**